საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2587 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებულ საინვესტიციო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ გასაფორმებელი შეთანხმების მოწონებისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრისთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

1. მოწონებულ იქნეს „ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებულ საინვესტიციო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ გასაფორმებელი შეთანხმება.

2. შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიერ „ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული

ვალდებულებების ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი შეთანხმების გაფორმებამდე არაჯეროვანი/ვადაგადაცილებით შესრულების ან/და შეუსრულებლობის გამო შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ არ დაეკისროს „ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა/სანქციები.

3. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულებით მოწონებული შეთანხმების საქართველოს მთავრობის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, მაია ცქიტიშვილს.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**